განკარგულება:**g-81. 81241153**
თარიღი:**24/04/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №10

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მოწონებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში 2024 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებებლი შემდეგი პროექტები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქორენიშის გზის რეაბილიტაცია მეორე ეტაპი.

2. ქ. ცაგერის სტადიონის რეაბილიტაცია.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ორხვის სასოფლო გზის რეაბილიტაცია.

4. სოფელ დოღურაშის საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.

5.ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. წიფერჩი ,,ლოდნარას“ ღელის გასწვრივ გზის რეაბილიტაცია.

6. სოფელ ქვ. ცაგერსა და სოფ. წილამიერში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა.

7. სოფელ ლასურიაშის სასოფლო გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი.

8. სოფელ მახაშში ტაძრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

9. სოფელ ჩქუმ-ქულბაქის ცენტრალური გზისა და სოფელ ჩქუმში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.

10. მუნიციპალიტეტის სოფლების მახაში, სანორჩი, ნასპერი, ღვირიში, უცხერი, ცხუკუშერი, ნაკურალეში და ხვამლის შემაერთებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს 2024 წლის ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან განახორციელოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების საჭირო სახელმწიფო შესყიდვები.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი